საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარეთო ყველა ქვეყანისა, შეერიეთო!

კვირა, 8 დეკემბერი 1918 წ.

ერთობა

ფასი 50 კაპ.

№ 266 ორგანო საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 266

გაზეთი დიაბს: 1 თვეზე 12 მანეთი ფოდგ ნომერი ყველგან 50 კაპ. განცხადების ფასი, რაოდენობაც ბირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე ჰეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას ორი უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოწერილ ან წერილები არ ინბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამას შესაბამ ანდ ხელნაწერის კისრულობს.

ადგილ ხელნაწერებს ინ[illegible] ... ბეჭდავ ... ეკ. 191. ... „ერთობა". ... ...

ᲓᲦᲔᲡ

საერთაშორისო ხაზავი კონგრესის თავმჯდომარეთ ვერსალში იქნება ვილსონი.

გერმანიაში წესრიგი და შინაური სიმშვიდე არ დარღვეულა.

ბრიტანეთის ჯარი ტიროლში შევიდა.

უკრაინაში გეტმანისა და პეტლიურას ჯარებს შორის ბრძოლა გრძელდება.

მაკენზენის არმია ფრანგების მოთხოვნილების თანახმად უნგრეთში იქნება გადაგზავნილი.

ინგლისის იურისტები ამტკიცებენ, რომ ნეიტრალურ ბელგიაში შეჭრა ვილჰელმს დანაშაულად უნდა ჩაეთვალოს და პასუხისგებაში იქნეს მიცემული.

ბავარიის კრონპრინცი რუპრეხტი ამ უამად ბავარიის ერთ-ერთ ძველ ციხეში იმყოფება. დროებითი ზავის შემდეგაც განაგრძობდა თურმე ის წინსვლას თავისი ჯარით.

გერმანული პრესის ცნობით მოკავშირენი არავითარ ანგარიშს არ უწევენ ვილსონის საზავო პროგრამას. ამ პროგრამიდან არც ერთი მუხლი არ განხორციელებულა ისე, რომ შიგ გერმანიის საზარალო ცვლილებანი არ შეეტანოთ.

ერთგვარი უხერხულობა შეიქნებაო. წარმოვიდგინოთ, რომ საქართველოში ქურდების დასასჯელათ უფრო შეღავათიანი კანონი არსებობს, ვიდრე მეზობელ სახელმწიფოებში, მაშინ, იქიდან ყველა ქურდები საქართველოში გადმობარგდებიანო. შემდეგ ორატორი ეხები საქართველოში სათბომ მასალის და პურის ნაკლებობას და დაასკვნის, რომ, რადგანაც საქართველოს პური არა აქვს, სათბობი მასალა არ მოგპოვება, მას დამოუკიდებლად არსებობა არ შეუძლიაო. კაპიტალიზმის განვითარება მიზნად ისახავს არა დაყოფას სახელმწიფოების სხვადასხვა ხელმწიფებათ, არამედ—გაერთიანებას სახელმწიფოებისას. მაგრამ ეს გაერთიანება უნდა მოხდეს არა იარაღის ხელში აღებით, არამედ—ორგანიზაციულათ შეთანხმებით. რუსეთის აღდგენა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ თათოეული კუთხის დემოკრატია მის აღდგენაზე იზრუნებს და მიზნათ დაისახავს რუსეთის გაერთიანებას.

შემდეგ აილლო ეხება იმ მიზეზებს და პირობებს, რომლებმაც გამოიწვიეს რუსეთის სახელმწიფოს დაქუცმაცება, საქართველოს დამოუკიდებლობის გაზოცხადება და აშბობს, რომ ნ. ჟორდანიამ სთქვა, თუ ჩვენს წინ იქნება ასეთი დილემა დასმული: ავტონომია თუ ფედერაცია, მაშინ ჩვენ ვარჩევთ ავტონომიას; ფედერაცია თუ დამოუკიდებლობა—მაშინ ჩვენ ვარჩევთ ფედერაციას, ხოლო თუ კი და ისმება საკითხი დამოუკიდებლობა თუ ოსმალეთის მიერ განადგურება—მაშინ ჩვენ ვარჩევთ დამოუკიდებლობასო, ეს სწორი დგება იყო. ჩვენ მართლა მივიღეთ ეს დამოუკიდებლობა. თავის თავად ლოლაკურია ჩემის აზრით, თუ ახლა, პირიქით, გაერთიანებისაკენ გავწევთ.

დენიკინი ჩვენთვის იმდენათ საფრთხეს არ წარმოადგენს, როგორც ეს ზოგიერთებს წარმოუდგენია. ჩვენი ვალია რუსეთის დემოკრატიას მივეშველოთ. განა თქვენ გგონიათ, რომ თქვენში რევოლიუცია იყოს გამარჯვებული და იქ კი კუნტრ რევოლიუცია?

ყველა ის უთანხმოება, რომელიც ახლა არსებობს ჩვენში, მოისპობა მხოლოდ მაშინ, თუ მოწვეული იქნება შეკრული პარტიული ყრილობა და ისევ გაერთიანდება ამიერ კავკასიის ორგანიზაციები.

დ. სალარაშვილი აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ ჩვენს სოც-დემოკრატიულ პარტიაში არასოდეს არ ყოფილა „რასკოლი“, ჯერეს კი ზოგიერთი ამხანაგები დადიან მუშებში და „რასკოლს“ ახდგენენ, ეს კი საფრთხეს წარმოადგენს და როგორც მოსსენებელმა აღნიშნა, ასეთი ცდა ძირშივე უნდა იქნას ჩაკლული.

ფირუმოვი. პარტიაში განსხეთქილება ყოველთვის საორგანიზაციო საკითხებიდან იწყებოდა, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენი უთანხმოება არ იწყება საორგანიზაციო საკითხებით. ჩვენს შორის არის ღრმა იდეიური და ტაქტიკური განსხვავება. აქ ამბობდენ, რომ ვინც საქ. სოც. დემ. პარტიის დაარსების წინააღმდეგ მიდის, მან აუცილებლათ უნდა გაიღაშქროს საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგაც. ეს მართალი არ არის. მე არ მგონია, რომ აქ ვინმე იყოს ისეთი, რომელიც წინააღმდეგია საქართველოს დამოუკიდებლობას (ხმები: არიან) ჯერეს მსოფლიოში დიდი ამბები ხდება: ჩვენ ვდგევართ სოციალისტური რევოლიუციის წინაშე. ასეთ დროს, როგორც ყოველთვის, პროლეტარიატი უნდა იდგეს კლასობრივ ბრძოლის ნიადაგზე და ეს კლასთა ბრძოლა არ უნდა დაჩრდილოს არავითარმა პრობლემამ. ჩვენში კი ვხედავთ, რომ აწარმოებენ ნაციონალისტურ პოლიტიკას და ნაციონალურ პრობლემამ კლასთა ბრძოლა დაჩრდილა. ყოველგან სამოქალაქო ომია გაჩაღებული, ხოლო ჩვენში კი სამოქალაქო ზავია და სოციალდემოკრატები ნაციონალ დნმოკრატებთან ერთად სხდებიან პარლამენტში. შემდეგ ორატორი ეხება რუსეთის დაყოფას და აშბობს, რომ როგორც ამიერკავკასიის ისე, საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადება გამოწვეული იყო იმით, რომ ჩვენ გვინდოდა შეგვენარჩუნებინა რევოლიუციის მონაპოვრები. ეს მიზანი მიღწეულია, და ნაბიჯიც ნაყოფიერი გამოდგა, ხოლო ჯერეს მე ვერ წარმომიდგენია, თუ რატომ უნდა ვიყოთ გაერთიანების წინააღმდეგი? განა პროლეტარიატის ინტერესები ყველგან ერთნაირი არ არის?

ჩვენმა სოციალდემოკრატიამ იმიტომ ითამაშა რუსეთის რევოლიუციის დროს ბრწყინვალე როლი, რომ ის ინტერნაციონალური პარტია იყო და ნაციონალისტურ მიდრეკილებებს ყოველთვის ებრძოდა, ჯერეს კი ნაციონალისტურმა მისწრაფებებმა გაიმარჯვეს და ეს ძალიერ სამწუხარია. აუცილებლად უნდა მოხდეს ჩვენი სახელმწიფოების და პარტიების გაერთიანება.

ალ. მაისურაძე აღნიშნავს იმ საფრთხეს, რომელიც მოსალოდნელია ამ „რასკოლნიკებისაგან“ და მიმართავს მუშებს, რომ არ წამოეგონ მათ მიერ გადმოსროლილ ანკესზე. ორატორი ამბობს, რომ როცა მთავრობას აგინებენ, ებრძვიან, ამით ებრძვიან ოპოზიციონერები ჩვენს პარტიას, რადგანაც ჩვენ ჯერეს საუკეთესო ამხანაგები მთავრობაში გვყავს და მათ მოქმედების მთავარ ხაზს საკითხებით ვიზიარებთ. ჩვენ გვეუბნებიან, რომ მაინც და მაინც რუსეთის უნდა შეუერთდეთო, რომელ რუსეთს უნდა შეეუერთდეთ, ბალშევიკებს, თუ დენიკინ დუტოვებს? ეს იქნებ ვინმე სხვა ჰყავთ მხედველობაში? ან კვთილ-შობილურად ცდებიან, ანდა ჩვენ შეგვნებულად ალუბვისაკენ მოგვიწოდებენ. ამიტომ მე მოვუწოდებ ამხანაგ მუშებს არ გაყყენენ რასკოლნიკებს და მით შეინარჩუნონ რევოლიუციის მონაპოვრები.

ზურაბოვი. პატივცემულმა ნოე ნაკოლოზის ძმ სთქვა, რომ უნდა დავაარსოთ ამიერკავკასიის ორგანიზაციების გამაერთიანებელი ცენტრი პარლეტეტულ ნიადაგზეო, გაზეთი „ერთობა“ კი სულ სხვას სწერს. იქ აშკარათ გვიმახიან ჩვენ ავანტიურისტებს, „რასკოლნიკებს“ და სხვა. ასეთი კომპანია თუ აწარმოეს ჩვენს წინააღმდეგ, მაშინ შეუძლებელია ლაპარაკი შეთანხმებაზე რა ნიადაგზეც არ უნდა იყოს ის. პარტიაში „რასკოლი“ ჩვენ კი არა თქვენ მოახდინეთ 13 ნოემბერს 1918 წელს, როცა საქართველოს სოც.-დემ. პარტია და არსეთ. ჩემზე ამბობენ, ვითომ მე დავდიოდე მუშებში და „რასკოლს“ ვანდენდე პარტიაში. როგორ შემეძლო მე მუშების კრებებზე სიარული, როცა ათი დღეა რაც ავადა ვარ და სახლიდან არ გამოვსულვარ? ყოველ შემთხვევაში, მე მოსწრე ვარ გავრთიანების. მე არ ვიყავი საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგი, მე ვამბობდი მხოლოდ, რომ საქართველოს დამოუკიდებლად არსებობა არ შეუძლია, არ შეუძლიათ დამოუკიდებელ რესპუბლიკებათ არსებობა არც ადერბეიჯანს და არც სომხეთს, ისინი აუცილებლად უნდა შეერთდენ, ამას ვამბობდი მე წინად და ამას ვამბობ დღესაც.

ნოე ნიკოლოზის ძმ სთქვა: კარლ კაუცკი ამბობდა, რომ ნაციონალური სახელმწიფოების გაერთიანება არ მოხდა უკანასკნელ ათეულ წლებში, ხოლო ერთი სახელმწიფოს რამდენიმე ნაციონალურ სახელმწიფოებად დაყოფვის მაგალითი იყოო მე მაკვირს, ნუ თუ ეს კაუცკ ს არ ჰქონდა დაწერილი მაშინ, როცა ჩხვიძე და თვით ნ. ჟორდანია რუსეთის მთლიანობას იცავდენ? ჯერეს კი, ნაციონალურ სახელმწიფოების არსებობას იცავენ. ჯერეს ჩვენ ვხედავთ ევროპაში ტენდენციას პროლეტარული ძალების გაერთიანებისას. აქ ამბობდენ, რომ არის დენიკინის, რევოლიუციის საფრთხეო, თუ ეს საფრთხე მართლა არის, მაშინ რომელი ძალა გინდათ დაუპირდაპიროთ მას, განა უკეთესი არ იქნება, რომ ამიერკავკასიის შეერთებული ძალებით შეეებრძოლოთ რევოლიუციას? პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული პრინციპები მოითხოვენ ამიერ კავკასიის რესპუბლიკების შეერთებას ერთ სახელმწიფოებრივ ორგანიზმში.

სმირნოვი აღნიშნავს, რომ მთელი 19 საუკუნე იმით არის ცნობილი, რომ იყო ბევრი ცდა სახელმწიფოებრივი საზღვრების გაწევის შესახებ და ყოველ მხრივად შეეეიწროვებინათ ცალკე ერთეულები. ამ პროგრესიულმა ტენდენციამ ახლა უფრო გარკვევით იჩინა თავი, ვინმემ ეს იყო ოდესმე ერთა თვითგამორკვევის პრინციპი პირველად წამოაყენა დემოკრატიულმა პარტიამ, მაგრამ ბურჟუაზია ყოველთვის ცდილობდა გამოყენებია ეს პრინციპი თავისი მიზნებისათვის. იმპერიალიზმი ჯერ კიდევ არ არის დამსხვრეული და ის ყოველნაირათ სცდილობს დემოკრატიული ლოზუნგების საშუალებით თვით დემოკრატიასვე გულში ლახვარი ჩასცეს. ერთი და იგივე ლოზუნგი, პრინციპი შეიძლება იყოს პროგრესიული და რეაქციონერიც, ეს სავსებით დამოკიდებულია იმ პირობებზე, რომელშიაც ეს პრინციპი ხორციელდება. დღევანდელ პირობებში გაერთიანება საუკეთესო ლოზუნგათ შეიძლება ჩაითვალოს. საქართველოს სოციალ-დემოკრატია ბურჟუაზიასთან ერთად ხელი-ხელ ჩაკიდებული მუშაობს, ბურჟუაზიას კი მიზნად აქვს დემოკრატიის ჩაწახვლა დემოკრატიული ლოზუნგების საშუალებით. შეუძლებელია ცხვარი და მგელი ერთად დავაყენოთ, ან და პროლეტარიატის და ბურჟუაზიის ინტერესი ერთმანეთს შეეფთანხმოთ. ვინც დღეს ლაპარაკობს, რომ ხალხის ინტერესები მუშათა კლასის ინტერესებზე მაღლა სდგასო, ის სოციალ-დემოკრატი არ არის. ჩვენ ყოველთვის მუშათა კლასის ინტერესებს ხალხის ინტერესებზე მაღლა ვაყენებდით და ახლაც ვაყენებთ.

ჩვენ ვდგევართ რუსეთის დემოკრატიის გაერთიანების ნიადაგზე. ჩვენ გვაქვს შემუშავებული გეგმა, რომლის საშუალებით ჩვენ ვიხსნით ქართველ ხალხსაც.

როცა მსოფლიოში დიდი კატასტროფები ხდება, შეუძლებელია თავის დაცვა პატარა, მცირე კუთხეში. განა შესაძლებელია დენიკინის არმიას გაუმაგრდეს პატარა საქართველო? ჩვენ გვ'ფრს, რომ საქართველოს დემოკრატია გახდეს იმ სიმაგრეთ, რომლის გარშემო მთელი დემოკრატია თავს მოიყრის.

საქართველოს სოციალ დემოკრატია ყოველთვის საუკეთესო ალმასი იყო რუსეთის დემოკრატიაში, ღღეს ეს ალმასი გამოვარდა და შესაძლებელი გახდა მისი ფეხქვეშ გათელვა ყველა გაბედული გამოშველისაგან. რომ თავიდან აიშოროს ეს გათელვა ყველას მიერ, საქართველოს დემოკრატია უნდა შეუერთდეს რუსეთის დემოკრატიას.

ს. თევზაძე. წამოყენებული საკითხი მომდინარეობს იქიდან, როდესაც ამიერ კავკასიის სიგზდი დამთავრდა და საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტია დაარსდა. აქ ამბობდნენ, რომ ჩვენ მუშების კრებებს არ ვაწყობთ და პარტიაში რასკოლს არ ვახდენთ. ეს მართალი არ არის. მათ მოახდინეს კრებები ცალკე რუს და სომეხ მუშების და ეგზეგეოდენ, რომ ქართველებმა საკუთარი სოციალდემოკრატიული პარტია დაიარსეს, თქვენ უნდა დაიარსოთ საკუთარი პარტიაო. კიდევ კარგი, რომ ყველა მუშების კრებებს ახდენენ. უბედურება იმაშია, რომ ისინი ყოფენ მუშებს ქართველებათ და არა ქართველებათ. ეს ოპოზიციონერები აქ სცენენ გაზეთს და გვებრძვიან ჩვენ, ამით დემოკრატიისთვის ზიანის მეტი არაფერი არ მოაქვთ. უკვეთესი იქნებოდა, რომ ისინი წავიდოდენ და იმუშაონ მუსულმანებში და სხვა ჩამორჩენილ პარტიაში, ამით უფრო მეტ სარგებლობას მოუტანენ იმ საერთაშორისო დემოკრატიას, რომლის ხშირად ხსენება მათ ძლიერ ეხერხებათ.

ნ. რამიშვილი აღნიშ ავს, რომ მსჯელობიდან უკვე დამტკიცდა, რომ საკითხი მარტო საორგანიზაციო არ არის, ის ისმება სულ სხვა მხრივ. როგორც გამოირკვა, ოპოზიციონერები უმთავრეს ლოზუნგად აყენებენ რუსეთთან გაერთიანებას. მე მსურს ვიცოდე, რომელი პარტიის სახელით ლაპარაკობს ეს უკმაყოფილო ჯგუფი? თუ თქვენ ლაპარაკობთ რუსეთის ს. დ. მ. პარტიის სახელით, უნდა იცოდეთ, რომ ცენტრალური კომიტეტი რ. ს. დ. მ. პარტიის არ სდგას იმ პოზიციაზე, რომელზედაც თქვენ დგეხართ. ცენტრალური კომიტეტი არ სცნობს ფეფის მთავრობას და არ უპერს მას მხარს, ცენტ. კომიტეტი წინააღმდეგია აგრეთვე მოკავშირეთა რუსეთის ხელშეკრულებაში ჩარევისა. თქვენ, ამხანაგებო, დაგაიწყდათ მარქსისტულ ენაზე ლაპარაკი. ის ამხანაგები, რომელნიც ასეთ პოზიციაზე დგანან, ჩვენ მოგვიწოდებენ რუსეთთან გაერთიანებისაკენ. მათი პოლიტიკა წმინდა ნაციონალისტურია. ჩვენ აქ მოვისმინეთ ფირუმოვის და ზურაბოვის სიტყვები, მათ ჩვენ გვითხრეს, რომ ჩვენ ვდგევართ დიდი ეკონომიური და პოლიტიკური ცვლილებების წინაშე, ჩვენ ვდგევართ სოციალისტური რევოლიუციის წინაშე და ამიტომ არ უნდა ეს წყვეტდეთ სადღეისო საკითხებს და არ უნდა ვაკეთებდეთ სადღეისო საქმეებსო. 1914 წელს აგვისტოში სოც.-დემ. ორგანიზაციების კონფერენციაზე ჩვენ ვამბობდით, რომ ომის დამთავრებას დიდი ცვლილებები მოჰყვება, მაგრამ ჩვენ აქედან ის დასკვნა არ გამოგვიყვანია, რომ ჩვენ არ უნდა ვიმუშავოთ ბურჟუაზიული საზოგადოების ჩარჩოებში. სოციალისტური რევოლიუციის შესაძლებლობის გამო ჩვენ არ უნდა მივატოვოთ ორგანიზაციული ამოშენებლობა ცალკე სახელმწიფოებში. დავუშვათ, რომ ამიერ კავკასიაში რესპუბლიკების არსებობა გეფემერულია, დროებითია, მაგრამ არავის არ ძალუძს იმ ფაქტის უარყოფა, რომ ეს რესპუბლიკები ერთმანეთისაგან პოლიტიკური მდგომარეობის მხრივ ძლიერ განსხვავდებიან. ზურაბოვი მოითხოვს ამიერკავკასიის რესპუბლიკების გაერთიანებას. პირველი ნაბიჯი ამ მხრივ ჩვენ გადავდგით და გეინდოდა კონფერენცია ამ რესპუბლიკებისა მოგვეწვია, მაგრამ ამ კონფერენციის წინააღმდეგ წავიდენ სომხეთის პარლამენტში ჩვენი ამხანაგები. საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში კონფერენციის მოწვევის შესახებ სხვადასხვა აზრი არ არსებობს. შექმნილ პირობებში აუცილებლად საჭიროა თითეულ რესპუბლიკაში იარსებოს, ცალკე სოციალ დემოკრატიულმა პარტიამ, მხოლოდ ამ გზით შეიძლება მასის ორგანიზაციულად დარაზმვა, და მასში გათვითცნობიერების შეტანა. რასაკვირველია, საჭიროა გაერთიანება ამ ცალკე ორგანიზაციებისა გრან ბიუროში, რომელიც ჩემის აზრით, უნდა შედგენილ იქნას პარიტეტულ ნიადაგზე, მხოლოდ ამ პირობებში შეიძლება შექმნა ისეთი მდგომარეობისა, რომლის დროს შესაძლებელი იქნება პროლეტარული პოლიტიკის ცხოვრებაში გატარება. ამიტომ, იმ ამხანაგებმა, რომლებიც გაერთიანებისაკენ მოგვიწოდებენ, უნდა მოამზადონ ნიადაგი ამიერ კავკასიის დემოკრატიათა შორის ყოველგვარ ურთიერთის გაუგებრობის მოსასპობათ.

ალ. ფარნიევი. თუმცა მე არასოდეს არ დავსწრებივარ იმ კრებებს, რომელსაც მართავენ ჩვენებური „ინტერნაციონალისტები“, მაგრამ მიუხედავათ ამისა, მაინც დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ისინი მუშებს გათიშვისაკენ მოუწოდებენ, ცუდი „ინტერნაციონალისტები“ იქნებოდნენ, რომ ასე არ მოქცეულიყვნენ. აი, ახლაც გვეუბნებიან: საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია, ქართველების ნაციონალური პარტია, რა გინდათ ასეთ შოვინისტურ პარტიაში, შეუერთდით რუსეთს, არარატის და ადერბეიჯანის „ინტერნაციონალურ“ პარტიასო.

პირველი ხარ ხის „ინტერნაციონალისტები“ ამბ. აიოლლო,სჩირნოვი და სხვები გვეუბნებიან, შეუერთდით რუსეთის დემოკრატიას და დაღუპვისაგან გადაგარჩენთო. მეორე ხარ ხის „ინტერნაციონალისტები“ ამბ. ზურაბოვი, ფირუმოვი და სხვები კი გვეუბნებიან, შეუერთდეთ არარატის და ადერბეიჯანის დემოკრატიას და პოლიტიკურათ და ეკონომიურათაც უზრუნველს გაყოფენო.

ეს „ინტერნაციონალისტები“ გვეუბნებიან: თქვენი დამოუკიდებლობა უდღეოა, ბეწვზე ჰკიდია, დენიკინი და სხვები ყოველთვის შესძლებენ თქვენს განადგურებას, თუ უარს არ განაცხადებთ თქვენ დამოუკიდებლობაზე და არ შეუერთდებით რუსეთს, არარატის და ადერბეიჯანის დემოკრატიასო. კარგია დემოკრატიის მოკავშირეობა. ჩვენ ამის საწინააღმდეგო არაფერი გვექნებოდა და არც არასოდეს გვიჩხუბნია, რუსეთის, არარატის და ადერბეიჯანის დემოკრატიასთან, მაგრამ საქმე იმაშია, რომ თვითონ რა აქვთ, ჩვენ რა უნდა მოგვცენ, თვითონ ვერ შეიძლეს თავიდან რეაქციონერ-კონტრ რევოლიუციონერების მოშორება და ჩვენ როგორ უნდა უზრუნველყონ. თქვენ, „ინტერნაციონალისტებო“, რას ჩაგვაცვლიდით, რატომ თავს არ დაგვანებებთ, თუ არ მოგწონთ ჩვენი წესწყობილება, აქ რას აკეთებთ, რატომ არ მიდიხართ დემოკრატიულ-რესპუბლიკანურ რუსეთში, არარატში და ადერბეიჯანში „ინტერნაციონალურ“ პრინციპების განსახორციელებლათ. თუ გული ძალიან გტკივათ ჩვენთვის, თავი გაგვანებეთ, ჩვენ რაცა გვაქვს, იმით ითოლათ მივდიგართ და ვერ ეჰყვება საქართველოს მუშათა კლასი თქვენს ცარიელ სიტყვებს, რასაც არავითარი ნიადაგი არა აქვს და არც ექნება.

თქვენ, „ინტერნაციონალისტებო“, იმავე დროს ამბობთ: ქართველი სოციალდემოკრატიით ამაყობდა მთელი რუსეთის სოციალ-დემოკრატია და ამიტომ მოგალე ხართ დაეხმაროთ რუსეთის, არარატის და ადერბეიჯანის დემოკრატიას, იქ დემოკრატიული წესწყობილების დამყარებაშიაო. ჯერ ერთი რომ, ჩვენ ჯერ ჩვენში გვაქვს საქმე დასამთავრებელი და ვინაიდან არც გვცალიან და არც შეგვიძლიან დახმარება, ამიტომ არავინ არ დაგვემდურება, გარდა „ინტერნაციონალისტებისა“, მეორე ის, რომ თუ საქართველოს სოციალდემოკრატია შინ გაანებებს საქმეს თავს და გაითქვიფება რუსეთის, არარატის და ადერბეიჯანის საზღვრებში, ეს არავის არ მოუტანს ნაყოფს. თქვენ გინდათ დაამყნოთ ავათ ყოფა—ფანტური ხეზე ხილის ნაზი ტოტი და გაახმოთ, თუ მოტანიკაზე ცოტაოდენი წარმოდგენა გაქვთ, ამაში დამეთანხმებით. თქვენ, „ინტერნაციონალისტებო“, გვაშინებთ დენიკინი და სხვები გაგანადგურებენო, შეიძლება შეგეცადონ, მაგრამ ჩვენ თქვენსაგით წინასწარ არ შეეშინდებით ამას და აქეთ-იქით კუნჭულებში არ დავიმალებით. დგეგ დაგმარცხდით, მხოლოდ ნებით რეაქციონერებს არ მოეუხრით თავს. ზღვა დგღავს, ზღვა მობობქრობს და მეზღვაურთ უქადის დღუპვას, მაგრამ მეზღვაურები მედგრეთ ებრძვიან ზღვის ტალღებს და უშიშრათ მიგქანებენ წინ, დანიშნული მიზნისკენ, საიდანაც მოსჩანს სინათლე, ამბობს კოროლენკო.

ვლ. ბაკრაძე. წევრი მაქოს სოც. დემ. ორგანიზაციის კომიტეტისა, აცხადებს, რომ მაქოს ორგანიზაციის საგრძნობი ნაწილი არ იზიარებს იმ გზას, რომელსაც ამბ. აიოლლო ადგია. მაქოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის უმრავლესობა, რომელიც ამ ჟამად თბილისში იმყოფებიან, [illegible] გამოცემულ დეკლარაციას და სავსებით ეთანხმებიან საქართველოს სოციალდემოკრატიულ ორგანიზაციის ხელმძღვანელთა მოქმედების ძირითად ხაზს.

(დასასრული იქნება)

ᲓᲔᲙᲔᲣᲔᲑᲘ

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

7 დეკემბერი.

ᲑᲐᲚᲨᲔᲕᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. იაკობშტადის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა დაიპირა ზილანი. პოლოკი-მოლოდეინოს რკინის გზის ხაზზე ჩვენს ხელში გადმოვიდა პოდეევირეე. მინსკის მიმართულებით 2 დეკემბერს ჩვენმა ჯარმა დაიპირა ბორისოვი. ბობრუისკის და მინსკის სამხრეთით სადგურ ტატკიკას მივაღწიეთ. სამხრეთის ფრონტი. ლისკის ჩრდილოეთიდ მტერი შეტევას შეეცადა. ბალაშევის სამხრეთით ჩვენი ჯარი წინ მიიწევს. კამოშინის რაიონში მტრის იერიში მოვიგერიეთ და დავამარცხეთ. სარატოვის რაიონში ჩვენმა ჯარმა წინ წაიწია. **უკრაინა.** კონოტოპოდან 10 ვერსის სიშორეზე მოხდა ბრძოლა. გეტმანის მომხრენი დამარცხდა და ბახმაჩის იქით დაიხიეს, პეტლიურას ჯარმა აიღო ჩერკასი და ვოლოტოროშა. **კურსკი,** 6 დეკ. ნიტნ-დნეპროვსკში ეკატერინოსლავის გუბერნიის ნოვომოსკოვის მაზრაში, მუშებმა აღადგინეს საბჭოთა მთავრობა და პეტლიურას გალაშქრება ავანტიურათ გამოაცხადეს. დღეს ჩვენმა ჯარმა დაიპირა პუსტოვიჩი, კოდტიუკოკა, ჯალინკოვიჩი. ხვალ ლუცკში შევალთ. შეთანხმება მოხდა გერმანიის არმიის საბჭოსთან. ჩვენ დავიპირეთ გომელი, რეჟიცი, ლიუბირი და ლუნინეცი. გერმანელები თავის ადგილზე დარჩებიან. გერმანიის სარდლობა გაიქცა. გერმანელთა საბჭო გვთხოვს დავიპიროთ ეს ქალაქები და გავაგზავნოთ წითელ არმიელთა ნაწილი მათთან ერთად გერმანიაში ნამდვილ საბჭოთა მთავრობის მოსაწყობათ.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

ინგლისის ყველა გამოჩენილი იურისტი იმ აზრისაა, რომ ბელგიაში შეჭრა და ომის წარმოების საშუალება დანაშაულათ უნდა ჩაეთვალოს იმპერატორ ვილჰელმს და პასუხისგებაში უნდა მისცენ.

ჩერჩილმა დენდში წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა: საადმირალომ გადასწყვიტა, რომ საჭირო არ არის ჰელ-ჰოლანდი მოვითხოვოთ.

მთავრობამ გადასწყვიტა რკინის გზების ნაციონალიზაცია მოახდინოს.

ოკლანდში გედეესმა (?) განაცხადა, რომ ენვერ ფაშა, მუსტაფა ქემალ ფაშა, ბულგარეთის და ავსტრო ჰუნგრეთის ყოფილი მთავრობის წევრნი საბერთაოში უნდა იქნენ მიცემული და თუ დანაშაული დაუმტკიცდათ, სიკვდილით უნდა დაიხოჭონ.

პეტერსონგმა ბრისტოლში სთქვა, რომ გერმანიის ახალშენები ინგლისის იმპერიას უნდა შეუერთდეს, სადაც კი ახალშენის მცხოვრებთ შეეკითხენ, ყველგან ამ აზრის იყვენ.

საადმირალოსაგან მიღებული ცნობით, 360 გერმანიის წყალქვეშა ნავიდან 200 ნავი დროებითი ზავის შეკვრამდე ჩაიძირა.

სამშვიდობო დელეგაციის შეთაურათ თვით პრეზიდენტი ვილსონი იქნება.

ბუდაპეშტიდან დეპეშები იუწყება, რომ მაკენზენის არმია 170,000 კაცისგან შემდგარი ფრანგების მოთხოვნილების თანახმათ ჰუნგრეთში იქნება გაგზავნილი.

შტუტკჰარტიდან მოსული ცნობის თანახმად ვიურტენბერგის მეფე ტახტიდან გადადგა.

სტოკჰოლმიდან იუწყებიან, რომ გერმანიაში არავითარი საშიშროება არ არის შიმშილის მხრივ და ყოველივე ცნობა, გერმანიაში შიმშილობის შესახებ, განგებ არის გაზვიადებული იმ მიზნით, რომ მოკავშირეებში გერმანიის შებრალება გამოიწვიონ.

ბრიტანეთის ჯარი ტიროლში შევიდა.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ.

ალმოსავლეთის ოლქების ევაკუაცია გრძელდება. ლევონიაში ჩვენი ჯარი ამ ჟამად დვინის იქით გადადის. გერმანიის ჯარები სევასტოპოლიდან ნიკოლაევში ზღვით მიდის, რათა უკეთეს რკინის გზით ისარგებლოს. შეთანხმების სახელმწიფოთა საზღვაო ძალა სევასტოპოლში იმყოფება. ბავარიის საბჭოს ცენტრალ პარტიის მიუნხენის ორგანო სწერს, რომ ბავარიის კრონ პრინცი რუპრეხტი დროებითი ზავის ჩამოგდების შემდეგაც განაგრძობდა თავის ჯარით სვლას და ამ ჟამად ბავარიის ერთ-ერთ ძველ ციხეში იმყოფება. ყოფილ ბავარიის კრონ პრინცი ბევრ პოლიტიკურ და სამხედრო საკითხებში და განსაკუთრებით ზავის ჩამოგდების საკითხში, არ იზიარებდა არმიის მთავარ-სარდლების აზრს. მაგ., კრონ-პრინცი განსაკუთრებით ამ წლის პირველ თვეებში ზავ მომხრე იყო და ამის შესახებ კანცლერსა და მეფესაც სწერდა. შემდეგ გაზეთი იუწყება ოპოზიციის შესახებ, რომელსაც კრონპრინცი

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

8 დეკემბერი

დღეს ლატარიის დღეა

აწარმოებდა ლიუდენდორფის წინააღმდეგ, როდესაც ელზას-ლორენის ფრონტის გერმანული შტაბის უფროსს ემორჩილებოდა და როცა არხზე ბრძოლა დაიწყო, გენერალურ შტაბში გაგზავნა სასწრაფო მოთხოვნილება, რომ ლორენში სამხედრო მოქმედება განსაზღვრულიყო თავდაცვით და ჯარი ჩრდილოეთით გადაეყვანათ, რადგან ხაზის გარღვევა... (დამახინჯებულია). შეუძლებელი იყო, ლილის ადება მისი საქმეა. ზაფხულიდან ყოველგვარი დამოკიდებულობა კრონპრინც რუპრეხტსა და ლიუდენდორფის შუა შესწყდა.

9 ნოემბერს დაბრუნებული გერმანიის საგარეო კომისიის წევრი, რომელიც პეტროგრადში და მოსკოვში იყო, აღწერს რუსეთის უმაღლეს მდგომარეობას. კომისიის წევრის სიტყვით საბჭოთა მთავრობა ანგარიშს უწევს იმ გარემოებას, რომ ახლო მომავალში მოკავშირენი მას გადააყენებენ. ამიტომ ბალშევიკურ წრეებში სულიერი განწყობილება დაეცა და მთავრობის წევრთა გამოსვლა. (გაუგებარია)... შვეიცარიაში გასაქცევათ სურსათი ვერ ნაწილდება სისტემატიურათ და წესიერათ. ვველგან უშუშევრობა, სიღატაკე და შიმშილი, რუსეთში დაბრუნებული სამხედრო ტყვეები ვერ პოულობენ . . . . . (გაუგებარია) ისინი შიმშილს განიცდიან და უბინაობის გამო ტყეებში იყინებიან. ორშაბოსკოვის რკინის გზის სადგურებზე ერთ დღეს გაიყინა და მოკვდა 80 ყოფილი სამხედრო ტყვე. ამით აიხსნება, რომ აღმოსავლეთ გერმანიაში განთავისუფლებული რუსი სამხედრო ტყვეები ისევ უკან ბრუნდებიან, მიდის სამშაოს მიმწოდებლებთან და უცხადებენ, რომ არ შეუძლიათ რუსეთში დარჩენა, იქ გამეფებულ გაჭირვების გამო და თხოულობენ ისევ სამუშაოზე ჩარიცხვას.

მოკავშირეთა, განსაკუთრებით საფრანგეთის მთავარ-სარდლის ფოშის მიერ დროებითი ზავის პირობათა ცხოვრებაში გატარებამ, გერმანიის ხალხს გაუცრუვა იმედი. მომავალ ზავის პირობებს ყველა პესიმისტურათ უყურებს ინგლისური გაზეთი „ლიბერალ ნიუზპეიპერი“ ანგარიშს არ უწევს გერმანიის უსაზღვრობას და მოითხოვს ისეთ თანხას, რომლის გადახდა მას არ შეუძლია. ეს მდგომარეობა აღშფოთებას იწვევს გერმანიის ხალხში და ეკითხება, სად გაქრა ვილსონის პროგრამა, რომელსაც დროებითი ზავის ჩამოგდებამდე მომავალ ზავის საფუძველათ სთვლიდენ, ვილსონის პროგრამის 29 პუნქტიდან არც ერთი არ განხორციელებულა ისე, რომ ცვლილება რა შეეტანათ. შეთანხმების სახელმწიფოთა მოდავენი ანგარიშს არ უწევენ ვილსონის პროგრამას.

ზავის გარშემო

ბალშევიკური პროპაგანდა ინგლისში.

გაზეთები იტყობინებიან, რომ ლონდონში პოლიციამ კონფისკაცია უყო სოციალისტების მთავარ სადგომში რამდენიმე ათას ბალშევიკურ „მოწოდებებს“, რომლებიც ლენინის მიერ იყო ხელმოწერილი. გაზ. „ტიმესი“ მიუთითებს მთავრობას ახლად დაარსებულ რუსეთის იმფორმაციულ ბიუროზე.

მოკავშირეთა ურთიერთობანი ომის შემდეგ.

ლოიდ ჯორჯმა მოკავშირეთა საპარლამენტო კომისიის მიღების დროს აზრი გამოსთქვა მოკავშირეთა შეერთებული მუშაობის აუცილებლობაზე, რომელიც ომის შემდეგ ისევე საჭირო იქნება, როგორც ეს ომის დროს იყო.

საერთაშორისო მუშათა კონგრესი.

ჰაააგა. გენდერსონმა განაცხადა, რომ მოკავშირეთა სახელმწიფოების მუშათა კონფერენციამ დანიშნა კომისია, რომელშიაც შევიდნენ ვანდერველდე, ტომა და ვომპერსი და რომელმაც ზავის ჩამოგდების შემდეგ უნდა მოიწვიოს საერთაშორისო მუშათა კონგრესი.

ფრანგული სოციალისტური პრესა.

ფრანგული სოციალისტური პრესა ცხარე სტატიებს სწერს სამხედრო პარტიის წინააღმდეგ. გაზ. „პოპულერი“ ბრალს სდებს მთელს პრესას იმაში, რომ ის მოსამსახურეა სამხედრო მრეწველობისა და ამბობს, რომ ბოლოს და ბოლოს საფრანგეთმა უნდა გაიგონოს სხვა ხმა, ვიდრე მათი, ვინც ომისაგან მოიგო.

ბურების რესპუბლიკანური პარტიის მანიფესტი.

ბურების რესპუბლიკანურმა პარტიამ გამოაქვეყნა მანიფესტი, სადაც ის, ვილსონის პროგრამის თანახმად, მოითხოვს თვითგამორკვევის უფლებას.

ტყვე ინგლისელების მიტინგი.

ბერლინი. სამხედრო მინისტრის მოწვევით 24 ნოემბერს მოხდა კრება სამხედრო და სამოქალაქო ინგლისელი ტყვეებისა. ილაპარაკეს ედუარდ ბერნშტეინმა, დ-რმა კონმა და დეპ. ლედებურმა. აღმ. კომიტეტის წარმომადგენელმა იმედი გამოსთქვა, რომ ეს კრება იქნება გერმანელთა და ინგლისელთა ურთიერთ გაგების და დაახლოვების ნიშანი. მან სთქვა, რომ მათ ამ შემთხვევაში აზრად არა აქვთ მიმართონ ინგლისელთა სამართლიანობის გრძნობას, მაგრამ რადგანაც ეს უკანასკნელი მოწმენი იყვნენ გერმანიის რევოლუციისა, მათ ჰსურთ განმარტონ მომხდარი ამბების მნიშვნელობა. იგინი უნდა მიხვდენ, რომ მას შემდეგ, რაც ეს გამარჯვება მოიპოვეს, მას შემდეგ რაც მათ ამდენი ბრძოლის შემდეგ მიაღწიეს თავისუფლებას, ისინი დათანხმდებიან მხოლოდ ისეთ ზავზე, რომელიც დამყარებული იქნება უფლებაზე, ჭეშმარიტი დემოკრატიის და კაცობრიობის პრინციპების თანახმად, ბერნშტეინმა სინანული გამოსთქვა, რომ იმპერიალისტების ბრძოლის გამო ორ ერს შუა ასეთმა ცივმა გრძნობამ იჩინა თავი. იგივე აზრი გამოსთქვა ლედებურმა. ილაპარაკეს აგრეთვე ინგლისელებმა.

სოციალისტური კონფერენცია.

გენდენსონიდან თანხმობის მიღების შემდეგ საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გადასწყვიტა მოიწვიოს პარიზში შეთანხმების სახელმწიფოთა სოციალისტების კონფერენცია. დღის წესრიგი: დაუყონებლივი მოწვევა საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციისა.

უკრაინის სოციალისტები.

გალიციის უკრაინის სოციალისტებმა გადასწყვიტეს გაგზავნონ დეპუტაცია ვენაში, რომ გააცნონ ავსტრიის სოციალისტებს უკრაინის პროლეტარიატის მოთხოვნილებანი და სურვილები. მეორე დეპუტაცია უკვე წავიდა ბერლინში, რომ კავშირი დაეჭიროს შეიდემანის პარტიასთან და აგრეთვე დამოუკიდებლებთან. მესამე დეპუტაცია მიდის კიევში, რომ ადგილობრივი ჯგუფები დაიხმაროს, ხოლო, მეოთხე დეპუტაცია მიდის შვეიცარიაში, რომ კავშირი დაეჭიროს შეთანხმების სახელმწიფოებთან და გააცნოს მათ პოლონეთის იმპერიალისტური მისწრაფებანი.

რუსეთის გაერთიანებისათვის

„ოდესკი ლისტოკის“ 22 ნოემბრის ნომერში დუბლდილია შემდეგი ცნობა: „მინისტრთა საბჭო იწვევს კიევში რუსეთის სახელმწიფოს ყოფილ ტერიტორიაზე აღმოცენებულ ახალ რესპუბლიკათა წარმომადგენლების კონგრესს, რომლებიც აუცილებლათ აღიარებენ რუსეთის აღდგენას ფედერატიულ საფუძველზე. ეს კონგრესი საძირკველს ჩაუყრის პირველს ფედერატიულ კავშირს, რომელშიაც პირველ რიგში შევლენ: უკრაინა, დონის ოლქი, ყუბანი, ყირიმი და საქართველო. ამ პირველ კავშირს ფიქრობენ, შეუერთდებიან სხვა ერთეულებიც“.

ახალი კანონ-პროექტები.

მიწათმოქმედების სამინისტრომ უკვე შეიმუშავა კანონ პროექტი სახელმწიფო ფონდში გადასული მიწების კერძო საკუთრებათ გადაცემისა და ამ დღეებში წარუდგენს განსახილველათ მთავრობას და პარლამენტის კომისიებს.

———

იუსტიციისა და აგრარულ კომისიების შეერთებულმა სხდომამ დაადგინა—დროებითი შეჩერებულ იქნას კანონ პროექტი ჭიათურის საჭიაონერო საზოგადოებისათვის მადნების შეძენის უფლების მიცემისა. ეს კანონ-პროექტი შეუფარდდება საზოგადო ხასიათის კანონ პროექტს, რომელიც ამ მოკლე ხანში წარედგინება პარლამენტს.

———

ტყვეების საკითხი. აგრარულმა კომისიამ უკვე მიიღო კანონ პროექტი სახელმწიფოს განკარგულებაში გადასული ტყვეების ექსპლოატაციისა. განზრახულია გარკვევით აღინიშნოს კანონ პროექტში, რომ წვრილ მესაკუთრეების ტყეები ჩამორთმეული არ იქნება.

ახალი ამბები

დღეს ქართული ლატარიის დღეა. ლატარიის მომგებიანი ბილეთები გაიყიდება ყველგან. შევიძინოთ ბილეთები, რითაც დახმარებას აღმოვუჩენთ ქართულ უნივერსიტეტს, ქართულ თეატრს.

◆ **ნავთი.** ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს სამრეწველო განყოფილებამ ამ დღეებში მიღებული ნავთი ასე გაანაწილა: 23 ცისტერნი საქართველოს სახელმწიფო გზებს, 2—კახეთის რკინის გზას, 1 ცისტერნი ქალაქის თვითმართველობას, სამხედრო საჭიროებისათვის 1 ცისტერნი; სამრეწველო ქარხნებს—4.

◆ **ლტოლვილთა დაბრუნება.** სომეხთა ლტოლვილები, როგორც ბეშტაშენიდან იტყობინებიან, ბრუნდებიან ყოველი მხრიდან თავის სამშობლოში.

◆ **განსაკუთრებული პოლიტიკური პირობების შექმნის გამო,** საგანგებო კომისია, რომელიც უნდა გამგზავრებულიყო გერმანიაში, იქ არ გაემგზავრება. კომისია იმავე მიზნით, როგორც ამბობენ, გაემგზავრება ნაწილი ლონდონში, ნაწილი ამერიკაში.

◆ **ძეგვის ხიდის** აფეთქების საქმის გამოძიება დასრულდა და გადაეცა საგანგებო სასამართლოს. საქმე გაირჩევა დეკემბრის შუა რიცხვებში.

◆ **საქართველოს შესწავლა.** ქართულ ტეხნიკურ საზოგადოებამ მიზნათ დაისახა ჩვენი ქვეყნის გამოკვლევის მიზნით შეისწავლოს ყველა ის მასალები, რომელიც დაგროვილია სხვადასხვა დაწესებულებებში. მთავრობისაგან ამის ნებართვა უკვე მიიღეს.

◆ **ყარაიაზში** უმიწაწყლოთ დამხმარებელი აცხადებს, რომ უკვეთუ კვირიდან ოთხშაბათამდე, 11 დეკემბერს არ ჩავლენ ყარაიაზში, ს. ერთობაში დასახმარებლათ ის პირნი, რომელთაც ბინები დაიკვეთეს, შემდეგ ეს მიწები სხვებს გადაეცემა. ს. ვოეიოვკაში ჩასასახლებელნი კი უნდა მოგროვდნენ სოფ. ერთობაში 10 დეკემბრამდე.

◆ **ქართველ საზოგადოების საყურადღებოთ.** ჩვენი ცნობილი მსახიობი ვალ. შალიკაშვილი ამჟამათ მძიმე ავათ არის. ექიმების სიტყვით მისი სოხუმში გამგზავრება აუცილებელია. ეჭვს გარეშეა, ჩვენი დაწესებულებანი და საზოგადო მოღვაწენი ყურად იღებენ ჩვენი ერის წინაშე ნაამაგდარ შალიკაშვილის კრიტიკულ მდგომარეობას და თავიან წვლილის გადებით გაუადვილებენ მას ტანჯვას. შემოწირულობანი მიიღება ქართული ლატარიის კანტორაში და ქართველ მსახიობთა კავშირის თავმჯდომარესთან.

◆ **ხათბობი მასალა.** ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს სამრეწველო განყოფილებაში შედის წინადადებები კერძო ვაჭრებისაგან რომ მათ შეუძლიანთ საქართველოში შემოზიდონ სათბობი მასალა ბლომათ ადერბეიჯანიდან, რომელიც უკვე დაზადებული აქვთ მათ საქართველოს საზღვრებთან. მაგრამ ფასებს ისე დიდს ამბობენ ვაჭრები, რომ სამინისტრო შეუძლებლად სცნობს წინადადების მიღებას.

◆ **მედიკამენტების გაზიდვა.** ადერბეიჯანის მთავრობამ სთხოვა საქართველოს მთავრობას ნება დართონ საქართველოში მედიკამენტების შეძენის ადერბეიჯანში გასაზიდად. აფთიაქებში მოსამსახურეთა კავშირს შეუძლებლად მიაჩნიათ მედიკამენტების გატანა და სთხოვს მთავრობას, სასტიკად აღკრძალულ იქნას საქართველოს საზღვრებიდან მედიკამენტების გატანა.

◆ **ქურდობა.** 6 დეკემბერს ლამით ა. რიბალჩენკოს ბინიდან მორონტ-მომქმედებმა წაიღეს 15,000 მანეთის სხვადასხვა ნივთები.

◆ **ქელეხის წინააღმდეგ.** ვარდენ ძიძიშვილმა ნებართვა აიღო გუბერნიის კომისარისაგან და თვლავის მაზრაში გაემგზავრა, რომ იქ ხალხს მოელაპარაკოს ქელეხის და სხვა ძველი ზნე ჩვეულებათა გამო უსარგებლო ხარჯების მოსპობის შესახებ.

◆ საქართველოს ს.-დ. მ. პ. 1-ლ რაიონის ბიურომ მიიღო არა ლეგალურ დროინდელი კონდუქტორების ორგანიზაციისაგან დარჩენილი 249 მ.

— რკ. გზ. მთავარ სახელოსნოს მუშამ ვასო ვაშაკიძემ შემოსწირა საქ. ს. დ. მ. პ. 1-ლ რაიონის ბიუროს 70 მან.

◆ **ლექცია.** კვირას, საღამოს 5 საათზე საძალადევის მარქსისტულ წრეში ამხ. ერ. თალაქვაძე წაიკითხავს ლექციას. თემა: პროლეტარული „კულტურა“. ლექციის შემდეგ გაიმართება კამათი.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ.

დღეს საღამოს 5 საათზე ჩუღურეთში, მეორე კომერციულ სასწავლებლის შენობაში ამავე უბნის ს. დ. პარტიის წევრ. კრება შესდგება.

— დღეს, 4 ს. მეოთხე კოლეჯტ. ბინაზე (ოლღას ქ. № 29) დანიშნულია ახ. მარქ. ორგ. ც. კომ. კრება.

— 11 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, ფრეიბერგის ქუჩაზე № 11 შესდგება ქართულ ტეხნიკურ საზოგადოების კრება.

— დღეს, დღისით 12 საათზე, სახელმწიფო უნივერსიტეტის (ქართულ უნივერსიტეტის) შენობაში მოხდება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრთა საზოგადო წლიური კრება.

კარჩიკიანის მკვლელის წერილი

სომხურ გაზეთ „აზხატავორში“ დაბეჭდილია კარჩიკიანის მკვლელის წერილი ცნობილ დროს მიმართ:

„ამხანაგო დრო! დღეს შევასრულე კარჩიკიანის მკვლელობის აქტი. იმ კარჩიკიანისა, რომელიც ამხანაგ დაშნაკელებში ყველაზე ძლიერი წარმომადგენელი იყო და რომელნიც უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში სომხის ხალხის საწინააღმდეგო დამღუპველ პოლიტიკას აწარმოებდნენ. კარჩიკიანს ეჭირა რა საპასუხისმგებლო თანამდებობა, ღალატობდა სომხის ხალხს და ცეცხლსა და მახვილს მისცა მან ეს ხალხი. დარჩა რა დაუსჯელი, მან ხელახლა დაიკავა საპასუხისმგებელო თანამდებობა.

„მე პირადი რწმენით ვმოქმედობდი. მზათ ვარ პასუხი ვაგო როგორც პარტიული ამხანაგების, აგრეთვე ამხანაგების, გინდ საზოგადო სამსჯავროს წინაშე“.

გერმანიის დელეგაციის ცნობები

თფილისი, 7 დეკემბერი.

კრონპრინცის გადადგომის აქტი.

6 დეკემბერს კრონპრინცმა ოფიციალურად გამოაქვეყნა აქტი, რომ ის გადადგა. მაშასადამე, გაზეთებში დაბეჭდილი ცნობა ბალშევიკური წყაროდან, რომ კრონპრინცი მოუკლავთ—ყალბია.

ვილსონი—საზავო კონგრესის თავმჯდომარე.

ვილსონი გავიდა ამერიკიდან 3 დეკემბერს (ცნობა თითქოს ის 3 დეკემბერს საფრანგეთში მოსულიყვეს, შეცდომა იყო) საფრანგეთში ჩავა 12 დეკემბერს. ის იქნება თავმჯდომარედ საერთაშორისო საზავო კონგრესისა ვერსალში

სამხედრო ტყვეები თურქესტანში.

გერმანელი აფიცერი, ბაქოში მყოფი ინგლისის სარდლობის დასტურით, მიდის თურქესტანში სამხედრო ტყვეების ევაკუაციის მოსახდენად. იქ უკვე მუშაობს ამისთვის დანიის და შვეიცის კომისიები. თურქესტანში ამჟამად არის 2 ათასი გერმანელი და 25 ათასამდე ავსტრიის სამხედრო ტყვე.

გერმანიაში.

გერმანიაში წესრიგი და სრული შინაური სიმშვიდეა.

იტალიის შიში.

იტალიის პრესა შიშს გამოსთქვამს, რომ სამხრეთ სლავიანთა ხალხების მოძრაობა (ჩრნოგორიის, სერბიის და სხვ.) მის ინტერესებს საფრთხეს უმზადებს.

სახალხო გვარდიის დღისათვის

12 დეკემბერს როგორც თფილისში, ისე საქართველოს ყველა ქალაქებში გაიმართება სახალხო გვარდიის დღესასწაული. სახალხო გვარდია დღესასწაულობს თავისი მოღვაწეობის წლის თავს.

დღესასწაული დილიდან დაიწყება. სახალხო გვარდიელები ჯართან ერთად წარუდგებიან მთავრობის მეთაურს პარადის სახით. პარადის შემდეგ სახალხო გვარდიელები ქალაქის ქუჩებს ჩამოიარეს მუსიკით და ეროვნული სიმღერებით. მონაწილეობას მიიღებენ საშუალო და დაბალი სკოლების მოსწავლე ახალგაზრდობა, რომლებიც სახალხო გვარდიელებს გაჰყვებიან მუსიკით. ქუჩებში გაიმართება სახალხო გვარდიის მოღვაწეთა და აგრეთვე სოციალისტური პარტიების წარმომადგენლების მონაწილეობით სახელდახელო მიტინგები. დიდი მიტინგი გაიმართება რკინის გზის მთავარ სახელოსნოებში. ამავე დროს მთელს ქალაქში მოხდება ყუალაბებით ფულის შეკრება და გაიყიდება ლია წერილები, სადაც დასურათებული იქნება სახალხო გვარდიელთა ცხოვრება ბრძოლის ველზე.

საღამოთი სახელმწიფო თეატრში გაიმართება სადღესასწაულო წარმოდგენა აპოთეოზით.

ამგვარივე წარმოდგენები გაიმართება თფილისის ყველა კლუბებში. ზოგიერთ მათგანში მოეწყობა ლექციები.

სინემატოგრაფებში გამართულ სეანსებიდან წმინდა შემოსავლის ნახევარი გადაიდება სახალხო გვარდიის ფონდისთვის.

ვინაიდან ზოგიერთ კლუბებში მოეწყობა კამარე აუქციონით, ამიტომ ქალაქის ქუჩებში სიარული და მოძრაობა ნება დართული იქნება დილამდე.

ტრამვაის ვაგონების რიცხვი გამრავლებული იქნება და მოძრაობა ტრამვაის არ შეწყდება ღამის 1 საათამდე.

სახალხო გვარდიის დღე გაიმართება საქართველოს როგორც სხვადასხვა ქალაქებში, ისე საქართველოს შორეულ კუთხეებში.

პროვინციებთან მჭიდრო კავშირის დასაჭერად და დღესასწაულის მთლიანობისათვის 12 დეკემბერს, დილის 9 საათზე, თფილისიდან ფოთისკენ წავა საგანგებო მატარებელი ერთ ნახევარჯერ გადიდებული ტარიფით. მატარებელს თან ექნება ვაგონი-რესტორანი. თფილისში დაბრუნდება ეს მატარებელი 13 დეკემბერს, საღამოს 9 საათზე.

დღესასწაულიდან მთელი წმინდა შემოსავალი გადაიდება დასახიჩრებული, დაჭრილი და აგრეთვე სახალხო გვარდიის დაზარალებების სასარგებლოთ.

Სახ. გვარდიის დღის მომწყობი ბიურო.

———

ᲛᲝᲬᲝᲓᲔᲑᲐ.

12 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკა დღესასწაულობს ერთ ერთ საუკეთესო თავის შვილის დღეობას.

ეს საამაყო შვილი საქართველოსი არის ჩვენი სახალხო გვარდია.

დაჭკრა თუ არა ქამმა ჩვენი სამშობლოს მონობისაგან განთავისუფლებისამ, მშრომელ ხალხისაგან შემდგარმა სახალხო გვარდიამ მყისვე თავისი მადლიანი ხელით აღმართა დროშა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის დამოუკიდებლობისა.

შავი ზღვის ნაპირები, ბათუმიდან ტუაპსემდე, ჩრდილო თუ აღმოსავლეთ საქართველოს მთა და ველები უხვად მოირწყო თაგანწირულ მამულიშვილთა სისხლით, და სახალხო გვარდიამ ქართულ ლაშქრისამ უკვე მიიღო სამშობლოს თავისუფლების წმინდა ზიარება.

დიადია მისი ღვაწლი და უკვდავი მისი სახელი!

და ვისაც უყვარს თავის სამშობლო, ვისაც სწამს, რომ დემოკრატიზმის სრული გამარჯვება შესაძლოა მხოლოდ თავისუფალ სამშობლოში, ის მოვალეა მოიხადოს თავის მოქალაქეობრივი ვალი და მიიტანოს თავისი წვლილი 12 დეკემბერს ჩვენივე ინტერესების და საქართველოს თავისუფლების მედგარ დარაჯის სახალხო გვარდიის წინაშე.

ამისათვის, მივმართავ ჩემს ამხანაგებს საქართველოს სახაზინო რკინის გზების მებუფეტეებს წინადადებით, რომ ყველა ჩვენგანმა 12 დეკემბრის წმინდა შემოსავალი თავის ბუფეტისა გადასდოს სახალხო გვარდიის ფონდის სასარგებლოთ.

მცხეთის ბუფეტის მოიჯარადრე ვასილ სიმონის ძე გეგეჭკორი.

———

ამა წლის 7 დეკემბერს თანახმად შრომის სამინისტროს მოხსენებისა, მთავრობამ დაადგინა:

სახალხო გვარდიის პირველ შეიარაღებულ გამოხვლის აღსანიშნავად, რომელიც მიმართული იყო ჩვენი ქვეყნის ბნელი ძალების და ანარქიის წინააღმდეგ, რაიც გამოიხატა თფილისიდან სამხედრო ეარსენალის ადებაში 12 დეკემბერს, 1917 წელს და რამაც მტკიცედ საფუძველი ჩაუყარა ჩვენს დემოკრატიულ რესპუბლიკას—გამოცხადებულ იქნეს ამა წლის „სახალხო გვარდიის დღე“ 12 დეკემბერს უქმე დღეთ მთელ რესპუბლიკაში.

———

12 დეკემბერს სახალხო გვარდიის ერთი წლის თავის აღსანიშნავად დანიშნულია თფილისიდან—ფოთამდი სასწრაფო მატარებელი სახელად „გმირების მატარებელი“, რომელიც მთელ საქართველოს რკინის გზას სადგურზე შეჭკრებს შემოწირულობის. მატარებელში იქნება გამართული ამერიკული აუქციონი, სამზარეულო ცხელი და ცივი საჭმელებით. მთელი შემოსავალი რაც მატარებლის სამგზავრო ბილეთებისაგანაც იქნება, სახალხო გვარდიელების დაზარებულ ოჯახების სასარგებლოდ გადაიდება. მატარებლის ბილეთები ჩვეულებრივია, გაემგზავრება ფოთისკენ 12 დეკემბერს, 9 საათზე დილით, ჩავა 21 ს. 40 წ. დაბრუნდება 13 დეკემბერს, 8 საათზე 11 წ. ჩამოვა 9 ს. საღამოთი.

სახალხო გვარდიელთა შორის

რკინის გზის რაიონის სახალხო გვარდიის შტაბისაგან, ამხანაგ გვარდიელებისადმი.

ამხანაგებო! ახლოვდება ხახალხო გვარდიის შექმნის წლის თიკი. მთავარი შტაბი, პარტიული ორგანიზაციები, ყველა რაიონული შტაბები, საქართველოს რესპუბლიკის დემოკრატია ამ ისტორიული დღისათვის დიდ სამზადისშია, რომ ეს დიდი დღე ღირსეულად აღნიშნოს.

ჩვენი რაიონის შტაბიც ეზზადება, რათა თავისი ხმაც შეუერთოს ამ ზეიმს.

გეცნობილია განკარგულება, გისგანაც ჯერ არს, რომ რვა ამ თვიდან ყველა გვარდიელები განთავისუფლებულ იქნას.

გამოცხადდათ ჩვენს შტაბში, ეეშაფოთ...

შტაბის უფროსი ᲛᲐᲡᲐᲑᲚᲘᲗᲘᲗ.

ᲛᲘᲡᲐᲑᲐᲫᲔ ᲛᲐᲡᲐᲑᲚᲘᲗᲘᲗ. ხახალხო გვარდიის შტაბს ყარაზან ნინაძეს შეუწირა ერთი ოქროს ოსმალური ფირა, ღირებული 120 მანეთად.

ᲓᲘᲓᲣᲒᲔ

არა მგონია თფილელის რომელიმე კუთხეში ისე თავგასულები იყვნენ მოგებრეანები, როგორც დიდუბეში. მათთვის ნახირი არ არსებობს და როგორც მოგებრეანებათ, ისე ჰყიდიან სანოვაგეს, ვიდრე საქალაქო საყანბო არსებობდა, ისე თუ ისე დაცული იყო ნახირი და დღეს, როდესაც საქალაქო საყანბომ ხანმოკლე არსებობის შემდეგ განუტევა სული უსვარო ხელმძღვანელების წყალობით, ისარგებლეს აქაურმა მეყანბეებმა და როგორც მოეხერხებოთ, ისე ჰყიდიან ხორცსა. დაწყებული 3 მანეთიდან 4 მ. 50 კაპეიკამდე, იმ დროს, როდესაც ნახირათ 2 მ. 30 კაპ. ეღირა, ქალაქის თვითმართველობას მთელი შტატი მეავს დაქირავებული, რომლის მოვალეობასაც შეადგენს თვალყურის დევნება იმ ნახირის გატარებისა, რომელზეც ლაპარაკი ეზმენ. აქ თვით მოქალაქეებიც არიან დანაშაულნი: თუ ერთმა მოითხოვა ნახირზე ვაგრობა, დანარჩენები ჩუმათ ეკურკურებიან, რომ აეწონონ და გინდ სამჯერ შეტი გადაახდევინონ.

ამასთანა მოქალაქეებს ვერ შეუგნიათ თავიანთი მოქალაქობრივი უფლება. დიდუბის სახლის პატრონები ყურებსაც არ იბერტყავენ იმ დიდებულებულების ცხოვრებაში გასატარებლად, რომელიც ეამოცა ეკერილ ეუბერნატორმა სახლების განაოგების შესახებ. ბიზნესთ ასახელებენ უნავთობას, მაგრამ მე მგონია, შეეძლოთ გაეყენათ თითო ლამპა ელექტრონის სინათლისა. დიდუბე ზაფხულ ზამთარ ეტანჯება უწყლობით და მეხოვრებლები დიდ გაჭირვებაში არიან ჩაცვენული. რკინის გზის წყალი რომ არ იყოს ახლო, წყურვილით დაიხოცებოდნენ მცხოვრებნი. საჭიროა ყურადღება მიაქციოს ამ არა ნორმალურ მოვლენას ქალაქის თვითმართველობამ და მით მოქალაქენი იხსნას გაჭირვებისაგან.

მეთვალყურე.

წ.-კ. მ. საზოგადოებაში

ახლად არჩეულმა გამგეობამ 23 და 30 ნოემბრის მორიგ სხდომაზე განიხილა სხვადასხვა საკითხები: 1) საზოგადოების მოსავალი სამოქმედო გეგმის შესახებ დაადგინა: 1 იანვრიდან გადაიტანოს წიგნის ბაზაზი შესაფერისს ადგილზე, გამოაყოს მაღაზია საწყობიდან, აირჩიოს განსაკუთრებული სექცია, რომელიც ფაქტიურ ხელმძღვანელობას და მეთვალყურეობას გაუწევს ბაზიანს, საწყობს, იზრუნებს სტამბის შეძენისათვის, მოაწყობს პროგანიზაციებში წიგნების გამავრცელებელ ორგანიზაციებს საზოგადოების განყოფილებათა დახმარებით, შეიძენს ქალაქს და სხვა; აირჩიოს წიგნების გამომცემელი სექცია, რომელიც ამზადებს დასახელებულ მასალას ყველა დარგში, საჭიროების მიხედვით მართავს ხელის მოწერასაც ზოგიერთ ნაწარმოებთა გამოცემაზე, ირჩევს თავის მხრით სხვადასხვა კომისიებს: საბუნებისმეტყველოს, სამკურნალოს, საგეოგრაფიო საინტერესოს და სხვა; გამგეობა ირჩევს სასკოლო სექციის თავმჯდომარეს, რომელიც ფაქტიურ ხელმძღვანელობას უწევს სკოლებს, მიმდინარეობენ, ადგენს საგანმანათლებლო კომისიებს, მართავს სახალხო კითხვებს, სახალხო ლექციებს, მოძრავ სკოლებს, ადგენს პროგრამებს და სხვა. 2) მიიღო წინადადება შვეიცარიის „საგრო“ სი ორი სტიპენდიის დაარსების შესახებ. „საგროს“ საზოგადოების გამგეობა აძლევს წ.-კ. გ. ს. ყოველ წლიურად წინდა მოგებიდან 8% 2 სტიპენდიის დასაარსებლად, ვიდრე არ შესდგება ისეთი თანხა, რომლის სარგებელი 1200 მანეთამდე ავა. ამ ფულით არსდება „საგროს“ სახელობის ორი სტიპენდია—საშუალო სასწავლებელში მოსწავლეთათვის. სტიპენდიის განაწილების დროს სხვიმებს ესწრება „საგროს“ წარმომადგენელი. 3) შეიძინოს საზოგადოებისათვის ლატარიის ათი ბილეთი. 4) შეძენილ იქნას ფულება ვ. ბარნოვის ნაწარმოებთა გამოსაცემად. 5) დაენიშნოს სარეაქციო ხელფასს სტიპენდიები ქართულ უნივერსიტეტში მოსწავლეებს: ქეთევან მგელაძეს, რუსუდან ნაკაშიძეს და კალისტრატე ჩიჩუას, თითოს 40 მ. თვეში 1 დეკემბრიდან. 6) 1 დეკემბრიდან მოესპოთ სტიპენდიების მიცემა იმ სტიპენდიანტებს, რომელთაც რაიმე საეჭვო ადგილი ადგათ დაწესებულებებში და ჯამაგირს დებულობენ. 7) საზოგადო კრებამ დადგენილების თანახმად ჯამაგირები გაუზარდეთ მოსამსახურე პირთ.

— წარკაკაცის გამამრავლებელ საზოგადოებას კაკავეს, ნალბანდის, ატენის, გომარეთის, ყალაშის და მიადანახეს ქართულ სკოლებში თავისუფლია მასწავლებელთა ადგილები. კაკავეს და ნაფჩიკის სკოლებში ჯამაგირები ორიმ თვიურად ბანთ პირველში 700 მან. მეორეში—600 მან. დანარჩენ სკოლებში ბინიდან 400 მან. ახალგენები მიიღება წერაკითხვის საზოგადოების კანცელარიაში.

— როგორც კაკავიდან აუწყებენ ქ. ᲨᲐ. წ. კ. გ. Ხ. მთავარ გამგეობას, იქაური განყოფილება ენერგიულად მოქმედებს. ენკენისთვეში მოსხდარი განგ. წვეთრია ხაზ. კრება. კრებას აურჩევია განს. კომისია, რომელსაც დაკისრებული აქვს ეზრუნოს სკოლის გაუმჯობესებაზე. კომისიას შეუკრეფია ხელის მოწერით ქართველთა შორის 6000 მანეთი, ლუდგენილათ ყოველთვიურად იხადონ სკოლის სასარგებლოდ განსახდგრული პროცენტები შემოსავლიდან. სკოლაში სწავლა გაჩაღებულია. მოწაფეთა რიცხვი 165 აღეწატება.

სკოლას დიდს მზრუნველობას უწევს ადგილმოქმედი იოსებ შვილეკი.

Ს.-ᲓᲔᲛ. ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲨᲘ

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ. 27 ნოემბრის შესდგა ტრამვაის მოძრაობის შუაზე მოსამსახურეების ს. ფ. Შ. პ. წევრთა მორიგი კრება. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. ფ. ლორია, მდივნათ ამხ. დავითაძე. ფლის წესრიგში იდგა შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება ხალიკო ვრილობის შუშაობისა; 2) ხალხანგო კომისიაში დამატებითი არჩევნები იმათ მაგივრ, რომელნიც აქ არ არიან სხვადასხვა საქმეების გამო. შემოვიდა წინადადება, რომ პირველათ მოხდეს არჩევნები. ეს წინადადება კრებამ მიიღო და შეუდგენ არჩევნებს. მცირე კოლეგტივმა წამოაყენა ხალხანგო კომისიაში ასარჩევი ორი ამხანაგი: ამხ. Შ. გიორგაძე და ამხ. ᲨᲐ. ᲧᲝᲩᲘᲨᲕᲘᲚᲘ. კრებამ ეს ამხანაგები ერთხმათ აირჩია და დაიკითხა, რომ ფლიდან არჩევნისა შეუდგენ თავიანთი მოვალეობის შესრულებას...

ხალიკო ვრილობიდან მოხსენების აკეთებს ამხ. ფ. ლორია და ამხ. ს. თევზაძე. მომხსენებლებმა მოკლეთ გააცნეს კრებას ყრილობის შუშაობა. ყოველივე კითხვები ჩუმფლობრივ იქნა განხილული და მიღებული, მხოლოდ კაბათს იწვევს აგრარული საკითხი, რომ ჩვენს პროგრამის და ეხლანდელს მიწის რეფორმას შორის ვამჩნევთ სხვადასხვაობისო, მაგრამ მომხსენებლები განმარტებენ შემდეგ კრება კმაყოფილი დარჩა და გამოხთქვეს სურვილი, რომ მომავალ კრებაზე უფრო გარკვეულათ შეგვნონ ამ კითხვის. დასასრულ მომხსენებელმა მოიგონა კრებას, რომ ყოველ მორიგ კრებას დავსწრონ და ვეკითხონ ყოველ დღიურ კითხვებს. მარტო ის არ კმარა, რომ პარტიაში ჩაგვწეროთ და კრებებს კი არ დავესწროთ. Შ. გიორგაძე.

ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ

ᲨᲝᲗᲛᲔ. 28 ნოემბარს შესდგა ფოთის მუშათა ხაბჭოს კრება. პირველი საკითხია—ხახალხო გვარდიის შესახებ. მოხსენებას აკეთებს ამხ. ვასო ნოდია. აზრთა გაცვლა-გამოცვლას შემდეგ ხაბჭომ აირჩია ხახ. გვარდიის შტაბი 5 კაციანაგან შემდეგარი. ერთი ადგილი დაეთმო სოც.-ფედერალისტებს. მეორე საკითხია, საკითხი შრომის ხელშეკრულების კანონ-პროექტის შესახებ, რომელიც მიღებულია შრომის სამინისტროსაგან წინდაწინ განსახილველათ. საბჭომ მიიღო პროგრამიუმს და პროტეტ. კავშირის ცენტრს მისი განმარტება.

წ.-კ. გამ. ᲮᲐᲖ. ფოთის განყოფილების დასაგმაყოფილებლათ, რომელიც მოითხოვდა ხაბჭოსაგან, რომელსაც უჭირავს მისი სადგომი რევოლიუციის დასაწყისიდან სრულიად უსასყიდლოთ, მატერიალურ დახმარების. ᲮᲐᲑᲭᲝᲛ დიადგინა შეკრების და გადაეცეს წ. კ. Ხ. გამგეობას 2000 მან., რისთვისაც არჩეულ იქნა კომისია 3 კაციანაგან. ᲮᲐᲑᲭᲝᲡ თავმჯდომარის, ამხ. Გ. ჩიტაიას განცხადება, რომლითაც ის თხოულობდა მის თანამდებობიდან განთავისუფლებას, ᲮᲐᲑᲭᲝᲛ არ მიიღო. ამხ. ჩიტაიას თანამდებობის დროებითი ასრულება ᲮᲐᲑᲭᲝᲛ დაეკისრა ამხ. ხოფერიას, თავმჯდომარის ამხანაგს. №.

ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲐ

ᲡᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ. 30 ნოემბრის სალამოს 10 საათზე რესტორან „ინტელიგენტში“ ასტყდა ხროდი. სროლის ხმაზე მივიდა ორი მილიციონერი და ადგილობრივი სახალხო გვარდიის შტაბის წევრი. რესტორანში იყო მოქეიფე საბორის გუნდის პრაპორშჩიკი ეზიუმკი ორ ჯარისკაცთან. მილიციონერების მისვლა მათ იუკადრისეს და პრაპორშჩიკი ეზიუმკი ბრძანებას აძლევდა მილიციონერებს გარეთ გასულიყვნენ. რომ ეგზეცესი არ მოხდარიყო, მილიციონერებმა შეატყობინეს კომისარს, რომელიც მივიდა რესტორანში. შტაბის წევრმა და კომისარმა ამ „კომპანიას“ პყარეს იარაღი და ერთი ჯარისკაცი წინა აღმდეგობისათვის დაატუსაღეს. საყურადღებოა ისა, რომ რესტორანს შეიარე სართულზე მოთავსებულია სასტუმრო „ცენტრალი“ და ტელეფონის სადგური. ზევით გასროლილ ორ ტყვიას გაეგონა ტელეფონის სადგურის იტალიელი და იქ მყოფმა მოსამსახურე კანდელაკ მოკვლა. სასტრეფლიაში პირველი მოვლენა არაა ეს. რკინის გზის ყაზარმაში ცხოვრობს ხუთი ეგზეცესი ჯარისკაცი, რომელნიც თავის ნაწილს უწოდებენ „შენგელიას როტას“. ამ ხუთი-ეგზეცესი ჯარისკაცი ჰყავთ მთელი შტატი ოფიცრებისა (სამი ოფიცერი), კაპტენარმუსი და ფელდფებელი. ეს ფანასკნელნი დიდ ეიფობას ეწევიან და რომელი წყარიდან—ვერ წარმოგვიდგენია. ხაბროა საშხედრო მთავრობამ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას. ᲔᲗᲔᲛᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲓᲘᲐ ᲕᲔᲠᲐᲘᲡᲘ.

სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარეს ს. რამიშვილს.

ჩვენი ქუთაისში ყოფნის დროს არა ერთხელ გთხოვეთ გეჩვენებიათ ან მოგეცათ პირი იმ პირობისა, რომელიც იყო დადებული ჩვენსა და ბ. დალაქიანცის შორის, მაგრამ რაღაც მოსაზრებით ჩვენი თხოვნა არ დაკმაყოფილდა. ეხლა წარმოდგენილი მოგამართავთ, კვითილი ინებეთ და აღნიშნულ პირობის პირი გამომგზავნეთ შემდეგი მისამართით: თფილისი, გაბაეფის შესახვევი, № 1, ვ. ᲠᲣᲑᲐᲫᲔ, გადასცემთ კირილე მოსეშვილს. კირილე მოსეშვილი.

ᲬᲜᲝᲒᲔᲑᲘ

ჩვენი შვილი ვასო სოფრომაძე, 18 წლისა, მსახურობდა ბაქოში, ტელეგრაფისტად. ᲨᲐᲗᲐᲗᲕᲘᲗᲨᲘ გადასულა ჯარში 8-24 ბატალიონში. ამის შემდეგ მისი არაფერი ვიცი. ვსთხოვთ ვინმემ იცის მაცნობოს შემდეგი მისამართით. ᲐᲒᲚᲐᲑᲐᲠᲘ, ნუხის ქუჩა № 8, ნინა სოფრომაძე.

— მოსკოვიდან ჩამოსულთ ვთხოვთ ვინც იცის ბოლკოვნიკ იაშვილის რაზმის ადიუტანტი გიორგი ლაზარაიშვილი სადაც იმყოფება, გვაცნობოთ შემდეგი მისამართით: ქ. თფილისი, თონეთის შესახვევი, № 2.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲚᲘᲐ

ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

შუამავალ საწოდებით.

მიიღება ყოველგვარი სნეულებიანი ავათმყოფები.

მიხეილის პრ. № 141 (კინემატოგრაფ „ბოლოს“ გვერდით) ტელეფ. 5—97. ავათმყოფთა მიღება სპეციალისტ ექიმებისაგან ყოველდღე დილის 9 საათიდან სალამოს 7 საათამდე. ოპერაციები, კონსულტაციები, „914“ და „606“ შეშხაპნები, მასაჟი, ელექტრონალური ავათმყოფები მიიღებიან სრული პანსიონით.

რენტგენის და ელექტრ. სამკურნ. კაბინეთი

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘᲡ

გ. მერაგოვისა

(რენტგენოლოგი Წ. ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘᲡ და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა.

მიიღებს შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს. სპეციალურად ფილტვების, ᲗᲚᲔᲚᲘᲡ ავადმყოფობა (ტუბერკულოზი), გულისა, კუჭისა და ელენტისა. მიღებას წარმოებს. რენტგენოგრაფია ჩაწერათ. დაკითხვა ᲠᲝᲓᲘᲡ გარეშე ადგილზე. ᲑᲝᲑᲝᲠᲘᲡ ქუჩა, № 25, ტელეფ. 7—92, ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და სალამოს 5—8 საათამდე.

ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲦᲚᲘᲡ ᲣᲬᲐᲡᲝᲓ.

ᲛᲘᲮᲔᲘᲚᲘᲡ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

მუდმივ საწოდებით. მიხეილის პრ. № 167, ტელ. 11—85. ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და სალამოს 5—7 საათამდე.

ექ. ა. ნ. ᲨᲐᲒᲘᲚᲝᲕᲘ ოფალ. სნეულ. დილ. 9—10 ს., ა. Დ. ᲧᲣᲚᲣᲙᲘᲫᲔ ქირურგ. და შინაგ. 9—10 ᲡᲐᲐ. ს., ი. ნ. ტერ-აკოფოვი ქელ. და საბავშვო 10—11 ს., Შ. ფ. ᲛᲒᲐᲚᲝᲑᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ ქირ. ᲪᲮ ქელ. 11—12 ს., Შ. ი. ᲖᲐᲮᲜᲐᲫᲔ შინაგ. და საბავშვო 11—12 ს., ნ. ა. ᲒᲐᲛᲠᲔᲙᲚᲘ შინაგ. და ნერვ. დღის 12—1 ს., ა. Პ. ᲧᲣᲚᲣᲙᲘᲫᲔ ქირ. და შინაგ. საღ. 5—6 ს., კ. Შ. ᲩᲘᲥᲝᲕᲐᲜᲘ ᲩᲘᲥᲝᲕᲐᲜᲘ ᲩᲘᲥᲝᲕᲐᲜᲘ